საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ

(წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში და არჩევნების დღის შემდეგ)



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

DRI

2021

ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ, პროექტის „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“ ფარგლებში, რომელიც „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა. ანგარიშში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა „ღია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მონიტორინგი:

ქეთევან მურღულია, გიორგი გამხიტაშვილი, გიორგი წიქარიშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი:

თამარ ხიდაშელი, უჩა ნანუაშვილი

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგიური ჩარჩო 5

1. განვითარებული მოვლენების მიმოხილვა 7

1.1. პოლიტიკური კონტექსტი 10

1.2. სოციალური კონტექსტი 12

2. პანდემიის პირობებში შეკრების თავისუფლების აკრძალვის საკითხი 13

3. აქციებზე დაკვირვების შედეგები..... 15

3.1. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეკრებები 17

3.2. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან 5 ოქტომბერს გამართული აქცია 19

3.3. ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების წინასაარჩევნო გააქტიურება..... 21

4. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებული საპროტესტო აქციები 25

4.1. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართული აქციები და არაპროპორციული ძალის გამოყენება სამართალდამცველთა მიერ 26

4.2. სამოქალაქო მოძრაობების მიერ გამართული “დაუმორჩილებლობის აქციები” 28

4.3. გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა 28 ნოემბერს გამართულ აქციაზე..... 30

5. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგები 32

5.1. სამართალდამცველთა მიერ მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტები 33

5.2. დაბალი მტკიცების ტვირთი და უფლებათა დაცვის არასაკმარისი სტანდარტები 33

5.3. საქმეზე წარმოდგენილი არასათანადო მტკიცებულებები 34

5.4. სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეფასება 35

დასკვნა 37

შესავალი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოდელზე მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიების შეთანხმებამ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების მოლოდინი გააჩინა. შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საარჩევნო შეხვედრების და საპროტესტო აქციების თავისუფლად ჩატარებაზე სამოქალაქო კონტროლმა დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებამ და მიმდინარე მოვლენების სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ გასულ წლებთან შედარებით, შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი გაუარესდა. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები და საპარლამენტო კონტროლის შესუსტება, ასევე, ხელისუფლების მიერ შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს უგულებელყოფა.

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს 2020 წლის სექტემბრიდან არჩევნების მეორე ტურის შემდგომი პერიოდის ჩათვლით წინასაარჩევნო შეკრებებსა და პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებზე დაკვირვების შედეგებს. ანგარიშის მიზანს წარმოადგენდა წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების შემდეგ შეკრება-მანიფესტაციების ორგანიზებისა და მიმდინარეობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, აქციების პერიოდში გამოკვეთილი სამართალდარღვევების სამართლებრივი შეფასება და დაკავებულ პირთა სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიში ეყრდნობა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების მიერ 40 აქციის და ამ აქციების მსვლელობისას დაკავებული დემონსტრანტების სამი სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს.

ვინაიდან აქციების მონიტორინგის პროცესი კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში მიმდინარეობდა, დაკვირვების ქვეშ მოხვდა ასევე, აქციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მხრიდან ჯანდაცვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესებისა და რეკომენდაციების დაცვის საკითხიც (ფიზიკური დისტანცირება, პირბადის სწორად მოხმარება და ა.შ).

შერჩევა: დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები (ცალკეული გამონაკლისის გარდა) იმ პოლიტიკურ საპროტესტო აქციებს/კონტრაქციებს აკვირდებოდნენ, რომლებიც სამოქალაქო მოძრაობების ან/და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში გამართეს. დაგეგმილი აქციების შესახებ ინფორმაციას სამოქალაქო მოძრაობების და პოლიტიკური პარტიების საჯარო განცხადებების, სოციალურ მედიაში გავრცელებული პოსტების ან პრესამსახურების მეშვეობით ვიგებდით.

კვლევის შეზღუდვა: მონიტორინგის პროცესში შეზღუდვები განპირობებული იყო, ერთი მხრივ, დამკვირვებლების მცირე რაოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, გეოგრაფიული არეალით - საწყის ეტაპზევე გადაწყდა მხოლოდ თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში ჩატარებული პოლიტიკური შინაარსის აქციებზე დაკვირვება. ამასთან, რთული იყო იმ აქციების მონიტორინგი, რომლებიც სპონტანურად იმართებოდა. ერთსა და იმავე პერიოდში მიმდინარე აქციების შემთხვევაში, დაკვირვების ობიექტი იმის მიხედვით ირჩეოდა, სად უფრო მეტად იყო შეკრების თავისუფლების დარღვევის საფრთხე.

მონაცემთა ანალიზი და კვლევითი ინსტრუმენტები - მონიტორინგის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები შემდეგი კვლევითი მიდგომებით გავაანალიზეთ:

- დამკვირვებლების მიერ შემუშავებული **პირადი ანგარიშები** - მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, პროექტის გუნდმა შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა შეიმუშავა, რომლის მეშვეობითაც საპროტესტო აქციებზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და დარღვევა ავსახეთ.
- **მედიამონიტორინგი,** რაც სხვადასხვა მედიასაშუალებების ვიდეომასალისა და ონლაინ გამოცემების პირდაპირი ჩართვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას გულისხმობს. ასევე შევისწავლეთ უშუალოდ სამოქალაქო აქტივისტებისგან მიღებული ფოტო და ვიდეო მასალა და სასამართლოში წარდგენილი მასალები.
- მონიტორინგის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან აქციების გამართვის შესახებ მიმართვიანობის და შესაბამისად, სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებით **საჯარო ინფორმაცია** გამოვითხოვეთ. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მერიას საჯარო ინფორმაცია დღემდე არ მოუწოდებია.

1. განვითარებული მოვლენების მიმოხილვა

აქციებზე დაკვირვება დაძაბული პოლიტიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე მიმდინარეობდა საქართველოში და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პრობლემათა ჩამონათვალს ოქტომბრიდან კორონავირუსით დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის ნახტომისებური ზრდა დაემატა, რამაც, როგორც მმართველი ძალა, ასევე, პოლიტიკური ოპოზიცია დამატებითი გამოწვევების წინაშე დააყენა.

ხელისუფლებისთვის ნამდვილ გამოცდად იქცა სათანადო ბალანსის დაცვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საჭიროებებსა და პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას შორის. არსებული პრობლემების პასუხად, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ პოლიტიკურ სპექტრს არჩევნების დღემდე თავყრილობების სრული თავისუფლება მისცა და კორონა ვირუსის გავრცელებაზე პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა მას დააკისრა. თავის მხრივ, ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ ფაქტობრივად უარი თქვა საკანონმდებლო და ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელებაზე და 2020 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებებით, საკუთარი უფლებამოსილების ნაწილი სამთავრობო სტრუქტურებს გადასცა. ამ ვითარებამ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები წარმოშვა[1] და ამასთან, სრულად გამოირიცხა საზოგადოების საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობა.

პანდემიის მიმდინარეობისას საქართველოს პარლამენტმა აჩვენა უუნაროობა, რაიმე ღონისძიება გაეტარებინა თავისი მანდატის

[1] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები ადამიანის უფლებების არაპროპორციული შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს, 2020, http://www.democracyresearch.org/geo/309, ბოლოს ნანახია 9.12.2020).

ფარგლებში.[2] დაბალი იყო საზოგადოების ჩართულობა, არსებითი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესშიც. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ პოლიტიკური და სოციალური პრობლემების სრულმა იგნორირებამ, საზოგადოებრივი პროტესტის საფუძველი შექმნა.

მეორე მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი აქციების მონაწილეთა მხრიდან კოვიდ 19-თან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების დაცვა (ფიზიკური დისტანცირება, პირბადის ტარება). მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვან აქციებზე არც ფიზიკური დისტანცია იყო დაცული და ხშირ შემთხვევაში, აქციის მონაწილეებსაც არასწორად ეკეთათ პირბადეები, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ორგანიზატორები ძირითადად, ვირუსის პრევენციისათვის აუცილებელ ზომებს ატარებდნენ (მუდმივად მიუთითებდნენ პირბადის ტარების და დისტანციის დაცვის აუცილებლობაზე, ტერიტორიაზე დაკრული იყო ფიზიკური დისტანცირების მიმანიშნებელი სტიკერები, აქციის მონაწილეებს ურიგებდნენ პირბადეებს და სხვ.).

მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიების გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 9 ოქტომბერს განახლებული შეიარაღებული დაპირისპირების[3] პარალელურად, ოქტომბრის დასაწყისში, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნით ეტაპზე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოსთვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღებისა და

[2] დემოკრატიის ინდექსი, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო და საგანგებო სესიების მუშაობა, თბილისი, 2020, გვ. 9.

[3] რაც 10 ნოემბერს სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის და რუსული სამშვიდო კონტინგენტის განლაგების შესახებ შეთანხმებით დასრულდა. https://bm.ge/ka/article/somxetis-jarebis-gayvana-rusi-samshvidoboebi---yarabagze-migweuli-shetanxmeba-/68378 (ბოლოს ნანახია 9.12.2020).

3500-მდე ჰა ფართობის ტერიტორიების (მათ შორის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის) დაკარგვის საფრთხის შექმნის ბრალდებით დააკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა.[4] სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2020 წლის 17 აგვისტოდან მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[5]

ბრალდება დაუსაბუთებლად, პოლიტიკურად მოტივირებულად და უსაფუძვლოდ მიიჩნიეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ.[6] ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, არაერთი აქცია გაიმართა პატიმრების განთავისუფლების მოთხოვნით.

[4] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 7 ოქტომბრის განცხადება, http://pog.gov.ge/news/saqarTvelo-1 (ბოლოს ნანახია 9.12.2020).

[5] სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 23 აგვისტოს ბრძანების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება.

[6] EMC „კარტოგრაფების საქმე“ - სამართლებრივი შეფასება, 2020, https://emc.org.ge/ka/products/kartografebis-sakme-samartlebrivi-shefaseba, (ბოლოს ნანახია 1.12.2020) ასევე, TI, GYLA და სხვები, კარტოგრაფების საქმე - პოლიტიკურად მოტივირებული ახალი გამოძიება, 2020, https://gyla.ge/ge/post/kartografebis-saqme-politikurad-motivirebuli-akhali gamodzieba#sthash.aE9UzSSV.dpbs, (ბოლოს ნანახია 1.12.2020).

1.1. პოლიტიკური კონტექსტი

2016 წლის 8 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკურმა პარტია ქართულმა ოცნებამ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 48% მიიღო.[7] ამის მიუხედავად, იმ დროისთვის მოქმედმა საარჩევნო სისტემამ მმართველ ძალას შესაძლებლობა მისცა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოეპოვებინა. შესაბამისად, პოლიტიკური ძალაუფლება ერთი პარტიული ჯგუფის ხელში კონსოლიდირდა და ვერ უზრუნველყო ამომრჩევლის რეალური განწყობების ასახვა არჩევნების შედეგებში.[8] 2019 წლის განმავლობაში საპროტესტო აქციების მთავარ მოთხოვნას სწორედ საარჩევნო სისტემის ცვლილება წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მმართველი გუნდი და ოპოზიციური პარტიები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოდელზე შეთანხმდნენ, საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების მოლოდინი გაჩნდა.

2020 წლის მეორე ნახევარში ჩატარებული პოლიტიკური შინაარსის აქციები ძირითადად 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ტარდებოდა.[9] გარდა ამისა, პოლიტიკური შინაარსის მქონე აქციებზე ორგანიზატორებმა ასევე დააყენეს შემდეგი მოთხოვნები:

[7] ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში, 2016, https://cesko.ge/geo/static/2495/saqartvelos-parlamentis-2016-tslis-8-oqtombris-archevnebis-angarishi (ბოლოს ნანახია 2.12.2020).

[8] ვახუშტი მენაბდე, სამართლიანი საარჩევნო სისტემა საქართველოსთვის: თანასწორობა, დემოკრატია და სტაბილურობა, 2019, https://civil.ge/ka/archives/307972, (ბოლოს ნანახია 2.12.2020).

[9] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2020, მე-2[1] მუხლის პირველი პუნქტი.

- საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსული საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული ორკვირიანი სავალდებულო საკარანტინო რეჟიმის გაუქმება და საქართველოს საჰაერო სივრცის გახსნა
- ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის არჩევნების 2021 წელს გადადება და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ნეპოტიზმის აღმოფხვრა
- „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციის შეწყვეტა და სამხედრო ნეიტრალიტეტის მოთხოვნა (3 ოქტომბერი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
- პოლიტიკური პლატფორმისთვის „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ უკანონოდ გამოწერილი ჯარიმების გაუქმება; პენსიონერთა, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება
- აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ, აფხაზეთის დროშის დაწვისათვის დაკავებული საქართველოს მოქალაქის ირაკლი ბებუას მხარდაჭერა
- ე.წ. „კარტოგრაფების საქმეზე“ დაკავებული ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას გათავისუფლება და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაუყოვნებლივი შეწყვეტა (სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო აქტივისტების 4 აქცია ოქტომბერ-ნოემბერში).

სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის შეფასებით, მთავრობამ ვერ უზრუნველყო 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ჩატარება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არსებული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ არჩევნებს შორის ყველაზე ნაკლებ დემოკრატიულად და თავისუფლად შეფასდა.[10] საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკ-

[10] არასამთავრობო ორგანიზაციები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს აფასებენ, 2020, http://www.democracyresearch.org/geo/448, (ბოლოს ნანახია 3.12.2020).

ური ძალებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ გამართული აქციების მთავარი მოთხოვნები იყო: 1. ხელახალი ან რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, 2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას გადადგომა და 3. პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

1.2. სოციალური კონტექსტი

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრამდე შეიზღუდა თითქმის ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, თელავში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის როგორც საცალო, ისე საბითუმო რეალიზება მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვების გზით.[11]

კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა სამუშაო პირობებისა და შემოსავლის, ასევე, მთლიანად შრომის ბაზრის მძიმე და მრავალმხრივი ცვლილება გამოიწვია.

2020 წლის მეორე ნახევარში სახელმწიფოში არსებული მძიმე სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, აქციები გაიმართა კორონავირუსით დაზარალებული მეწარმეებისა და ბიზნესების დასახმარებლად სახელმწიფოს მიერ დროული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმისა და საბანკო კრედიტების გადავადებისათვის, საბანკო სექტორთან შუამდგომლობის გაწევის მოთხოვნით.

[11] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ, მუხლი 6.

2. პანდემიის პირობებში შეკრების თავისუფლების აკრძალვის საკითხი

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის 21 მარტს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის N1 დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული დეკრეტის საფუძველზე 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება N181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით აიკრძალა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეკრება ან/და მანიფესტაცია. ამავე დადგენილებით, ასევე აიკრძალა საჯარო სივრცეში 10-ზე მეტი პირის თავშეყრა. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სიტყვისა და გამოხატვის, ასევე, შეკრების თავისუფლების შეზღუდვას სახელმწიფოში გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.[12]

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებამ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები გარკვეულწილად შეამსუბუქა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის N181 დადგენილებისგან განსხვავებით, N322 დადგენილება პირდაპირ აღარ კრძალავს შეკრების ან მანიფესტაციის გამართვას, აგრეთვე, აღარ იკრძალება საჯარო სივრცეში 10-ზე მეტი პირის ნებისმიერი სახის თავშეყრა, გარდა იმგვარი თავშეყრისა, რომელიც „დაკავშირებულია საზოგადო-

[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71, პუნქტი 4.

ებაში დამკვიდრებულ სოციალურ ღონისძიებებთან (მაგ.: ქორწილი, ნებისმიერი იუბილე, ქელეხი და ა.შ.)“. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში 2020 წლის 9 სექტემბერს შესული ცვლილებით დაკონკრეტდა წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებაში მონაწილე პირთა რაოდენობა. კერძოდ, ნებადართული გახდა წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) - ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისათვის დადგენილი შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც წინასაარჩევნო, აგრეთვე, არჩევნების შემდგომ პერიოდებში გამართული აქცია/დემონსტრაციების მიმდინარეობისას კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციისაკენ მიმართული რეკომენდაციები უმეტესწილად დაცული იყო. კერძოდ, მონაწილეთა უმრავლესობას ეკეთა პირბადე, თუმცა, ხშირად არასწორად. ასევე, შემლებისდაგვარად, დაცული იყო სოციალური დისტანცია.

3. აქციებზე დაკვირვების შედეგები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებულ პოლიტიკური შინაარსის 40 აქციას დააკვირდნენ.

როგორც წესი, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი მრავალრიცხოვანი შეკრებები, ასევე, აქცია/დემონსტრაციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. თუმცა, არჩევნების დღის შემდეგ ადგილი ჰქონდა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებას. კერძოდ, 8 ნოემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, სამართალდამცველებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალა გამოიყენეს წყლის ჭავლისა და სავარაუდოდ, წიწაკის სპრეის სახით.[13] ერთ შემთხვევაში,[14] სამართალდამცველებმა თბილისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალის გამოყენებით, უკანონოდ დაშალეს აქციის მონაწილეთა კუთვნილი კარვები.[15] 28 ნოემბერს სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეებს დაუსაბუთებლად არ მისცეს პარლამენტის უკანა შესასვლელთან აღმართულ რკინის კონსტრუქციაზე წარწერების გაკეთების უფლება. პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა სავარაუდოდ გახდა ერთ-ერთი აქტივისტის დაკავების საფუძველი. დაკავების პროცესში მეორე აქტივისტმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.[16] ოთხ შემთხვევაში დაფიქსირდა ჟურნალისტების მიმართ სიტყვიერი თუ ფიზიკური შე-

[13] DRI: 2020 წლის 8 ნოემბრის აქციაზე დაკვირვების ოქმი, 10 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: http://www.democracyresearch.org/geo/456

[14] 2020 წლის 5 ოქტომბერს.

[15] DRI: აქტივისტთა კარვების დემონტაჟი დემონსტრანტთა უფლებებში დაუსაბუთებელ ჩარევას წარმოადგენს, 2020, http://www.democracyresearch.org/geo/427 (ბოლოს ნანახია 3.12.2020)

[16] DRI: დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 28 ნოემბერს საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაკავებას ეხმიანება, 2020, ხელმისაწვდომია: http://www.democracyresearch.org/geo/470

ურაცხყოფის და მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები. შვიდ აქციაზე დემონსტრანტები და სამართალდამცველები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

აქციების უმრავლესობაზე, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული რამდენიმე პირი აქციის მიმდინარეობას ინტენსიურად აკვირდებოდა და მონაწილეებს ფოტოსურათებს უღებდა. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან მათი მჭიდრო კომუნიკაცია იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ისინი სამართალდამცავ ორგანოს წარმოადგენდნენ.

შეკრება/დემონსტრაციებში მონაწილეთა რაოდენობა 15-დან 5,000-მდე მერყეობდა. დემონსტრანტების მაქსიმალური რაოდენობა მობილიზებული იყო 2020 წლის 8 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის მსვლელობისას, როდესაც ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააპროტესტა.

ძირითადი დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცველების რაოდენობა აქციის მონაწილეების რაოდენობას ბევრად აღემატებოდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2020 წლის 9 ოქტომბერს, ქართული მარშის მიერ ორგანიზებული აქცია დავით გარეჯში, სადაც სამართალდამცველთა უპრეცენდენტოდ მცირე რაოდენობა იყო მობილიზებული.

უმეტეს შემთხვევაში დემონსტრანტების თითქმის ნახევარი იყო ქალი. ხშირ შემთხვევაში, აქციის თანაორგანიზატორებიც ასევე ქალები იყვნენ. სამოქალაქო მოძრაობებიდან ქალი ორგანიზატორების სიმრავლით ჯგუფი „სირცხვილია“ გამოირჩეოდა.

აქციების ორგანიზატორები ძირითად შემთხვევაში იყვნენ სამოქალაქო მოძრაობები: „გაბედე“, „შეცვალე“, „სირცხვილია“. პოლიტიკური ჯგუფებიდან კი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპუ-

ლი საქართველო,“ „ლელო საქართველოსთვის“, „გირჩი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ და სხვა.

პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული წინასაარჩევნო შეკრებების და პარტიული პროგრამის პრეზენტაციების გარდა, აქციების სრული უმეტესობა სპონტანურ ხასიათს ატარებდა, რაც მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. გარდა ამისა, დაკვირვების სრულფასოვან განხორციელებას ხელი შეუშალა საქართველოში 2020 წლის 9 ნოემბრის 22:00 საათიდან კომენდანტის საათის ამოქმედებამ. გადაადგილების შეზღუდვის მიზეზით მონიტორებმა ჩართული დაკვირვება ვერ განახორციელეს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზებულ ე.წ. დაუმორჩილებლობის აქციაზე 2020 წლის 9 ნოემბერს. ამ მიზეზით დემონსტრაციის შესაფასებლად და გასაანალიზებლად მედიამონიტორინგის მეთოდოლოგია გამოვიყენეთ. გარდა ამისა, კომენდანტის საათის მიზეზით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი ბოლომდე ვერ დაესწრო 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების სასამართლო პროცესს.

3.1. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეკრებები

2020 წლის ოქტომბერში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები დააკვირდნენ „პატრიოტთა ალიანსის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული მარშის“ და „ლელო საქართველოსთვის“ პარტიული პროგრამების პრეზენტაციებს, რომლებიც თბილისში გაიმართა. პარტიულ პრეზენტაციებზე ორგანიზატორებმა შეაჯამეს საარჩევნო კამპანია და მხარდამჭერებს მაჟორიტარობის კანდიდატები წარუდგინეს. ოთხივე პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა საკუთარ გამოს-

ვლებში დააფიქსირეს უკმაყოფილება „ქართული ოცნების“ მმართველობით და ნეგატიურად შეაფასეს წინასაარჩევნო გარემო.

ძირითადი ტენდენციების სახით შეიძლება ითქვას, რომ პარტიულმა პრეზენტაციებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა; შეკრების მონაწილეთა რაოდენობამ ზოგ შემთხვევაში 22 ათასს მიაღწია.[17] შეკრებების მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცველების სრული მობილიზაცია შეინიშნებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა 2020 წლის 27 ოქტომბერს „ქართული მარშის“ 200 კაციანი პარტიული შეკრება, რომელსაც მხოლოდ ორი სამართალდამცველი დაესწრო. წინასაარჩევნო ღონისძიებების დანარჩენ სამ შემთხვევაში, სამართალდამცველებმა აქციის ტერიტორია და მიმდებარე ქუჩებიც კი გადაკეტეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 3 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე გამართული „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო პრეზენტაციის დროს სამართალდამცველების მიერ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები ცალსახად არ შეესაბამებოდა მომიტინგეთა რაოდენობას (1,000 კაცი) და გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ორგანიზაციის მონიტორები დააკვირდნენ აქციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მხრიდან კოვიდ 19-ის პრევენციასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვას. „ლელო საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო შეხვედრებზე ღონისძიების კურატორები მონაწილეებს პირბადეებს ურიგებდნენ და მკაცრად აკონტროლებდნენ მათი მოხმარების წესებს. და ამ მხრივ პრობლემები იყო „ქართული მარშისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო შეხვედრებზე, სადაც ორგანიზატორები არ აკონტროლებდნენ პირბადეების მოხმარებას. ფიზიკური დისტანცია სრულიად იყო დაცული „ლელო საქართველოსა“ და „ქართული მარშის“ წინასა-

[17] მითების დეტექტორი, რამდენი ათასი ადამიანი მივიდა 8 ნოემბრის აქციაზე? 13 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია https://www.mythdetector.ge/ka/myth/ramdeni-atasi-adamiani-mivida-8-noembris-aktsiaze (ბოლოს ნანახია 26.01.2021).

არჩევნო შეხვედრებზე. აქციის ორგანიზატორებმა დამსწრეთათვის ორმეტრიანი დისტანციის დაცვით განათავსეს სკამები. ხალხმრავლობის გამო ფიზიკური დისტანციის დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზენტაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორები დისტანცირების აუცილებლობაზე მუდმივად მიუთითებდნენ. პირბადის მოხმარებისა და ფიზიკური დისტანცირების დარღვევები გამოვლინდა ასევე, „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო შეხვედრაზე, მიუხედავად იმისა, რომ დისტანციის დასაცავად ორგანიზატორებს თავისუფლების მოედანზე სტიკერები ჰქონდათ დაკრული.

წინასაარჩევნო პერიოდში (31 ოქტომბრამდე) დემონსტრაციები ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გამონაკლისს წარმოადგენდა 5 ოქტომბერს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გამართული აქცია, რომელიც სამართალდამცველთა დაუსაბუთებელი/უკანონო ქმედებებით გამოირჩეოდა.

3.2. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან 5 ოქტომბერს გამართული აქცია

5 ოქტომბერს პოლიტიკური პლატფორმის „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერებმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია გამართეს. დემონსტრანტები პარტიისთვის გამოწერილ ჯარიმებს აპროტესტებდნენ, რომლის ოდენობამაც 100 ათას ლარს გადააჭარბა. ისინი მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოწერილ სამართალდარღვევათა ოქმებს უკანონოდ მიიჩნევდნენ და მათ გაუქმებას მოითხოვდნენ. აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები ასევე აპროტესტებდნენ თბილისის მერის კახი კალაძის მმართველობას და მას კორუფციულ გარიგებებში სდებდნენ ბრალს.

აქციაში დაახლოებით 50 დემონსტრანტი მონაწილეობდა. მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე და მერიის შენობის შესასვლელთან მობილიზებული იყო საპატრულო და კრიმინალური პოლიციის 150-მდე წარმომადგენლი. შეკრება პირველ საათზე დაიწყო და მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. სამართალდამცველებმა აქციის დაწყებისთანავე რკინის ჯებირებით გადაკეტეს თბილისის მერიის შესასვლელი და დემონსტრანტებს შენობაში შესვლის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცველთა ინსტრუქციები კანონს არ შეესაბამებოდა; მაგალითად, როდესაც დემონსტრანტებმა კანცელარიაში განცხადების ჩაბარება მოითხოვეს, განცხადების ფორმა და დანართის შინაარსი მერიის უფლებამოსილი თანამშრომლის ნაცვლად პატრულ-ინსპექტორმა შეამოწმა. აქციაზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც დემონსტრანტებმა მერიის წინ და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ტროტუარზეც პარტიის ბრენდირებული კარვები გაშალეს. აღნიშნულის საპასუხოდ, სამართალდამცველებმა კარვების დემონტაჟი დაიწყეს და კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საბაბით 2 აქტივისტი დააკავეს.[18] პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგალაძე, რომელიც იმ დროს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული იმუნიტეტით სარგებლობდა, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან ისე გაათავისუფლეს, რომ არ წარმოუდგენიათ არანაირი დოკუმენტი, რაც მის დაკავებას სამართლებრივად შეაფასებდა. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის გარეშე შეწყვიტეს მეორე პირის დაკავება, მას შემდეგ, რაც იგი შეუძლოდ გახდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია პირის უფლება, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს გამოხატვის ფორმა, საშუალება და ადგილი. კერძოდ, მას კანონით გარანტირებული აქვს უფ-

[18] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი

ლება, საჯაროდ და მშვიდობიანად გამოხატოს საკუთარი აზრი ქუჩის იმ ნაწილში და იმ ფორმით, რომელსაც თავად ჩათვლის მიზანშეწონილად. აზრის გამოხატვა კი არა მხოლოდ საუბრით, განცხადებებით, არამედ მდუმარე ფორმით ან დროებითი კონსტრუქციების აგებითაც შეიძლება.[19] შესაბამისად, სამართალდამცველების მიერ აქტივისტების მიერ აგებული მსუბუქი კონსტრუქციის კარვების ძალის გამოყენებით დაშლა და მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პარტია „სტრატეგია აღმაშენებელის“ 1,000 ლარით დაჯარიმება[20] დემონსტრანტთა გამოხატვისა და შეკრების უფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას წარმოადგენს.

3.3. ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების წინასაარჩევნო გააქტიურება

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გამორჩეული გახადა ანტილიბერალური და ანტიდასავლური განწყობების მქონე ულტრამემარჯვენე, ექსტრემისტული იდეოლოგიის ჯგუფების საარჩევნო პროცესებში ჩართვამ. საპარლამენტო არჩევნებამდე გაერთიანებები „ქართული მარში“ და „ქართული იდეა“ პოლიტიკურ პარტიებად დარეგისტრირდნენ, მეტ-ნაკლებად აქტიური წინასაარჩევნო კამპანია აწარმოეს და საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა.

ორივე საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანია მკვეთრად ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ნაციონალისტური რიტორიკით გამოირჩეოდა. ამავდროულად, „ქართული იდეის“ დამახასიათებელი იყო თეოკრატიული ნარატივები. მათ საარჩევნო

[19] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის N3ბ/170-18 გადაწყვეტილება.

[20] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[3] მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

კლიპებში ხშირად მონაწილეობდნენ მართლმადიდებელი სასულიერო პირები.

წინასაარჩევნოდ, „ქართული მარშის“ კამპანია ორიენტირებული იყო არა მმართველი ძალის („ქართული ოცნების“), არამედ ლიბერალური იდეოლოგიის ოპოზიციური პარტიების და მილიარდერი ფილანტროპის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ.

„ქართული მარშის“ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართული აქციებიდან 2 მიმართული იყო „ნაციონალური მოძრაობის,“ მეორე პარტია „ლელოს“ და მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ. 29 ოქტომბერს ქართულმა მარშმა და მათმა მხარდამჭერებმა რუსთავის გზატკეცილზე, თბილისის შემოსასვლელთან, გზა გადაკეტეს, რათა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებისათვის თბილისში შესვლისა და რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვის შესაძლებლობა არ მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის სავალი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვა იკრძალება შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო „ქართული მარშის“ წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრება არ საჭიროებდა გზის გადაკეტვას, სამართალდამცველებს აღნიშნულ ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ.[21]

18 სექტემბერს პარტია „ლელოს“ ვაკის ოფისთან „ქართული მარშის“ წევრებმა ლელოს აკრძალვისა და არჩევნებიდან მოხსნის მოთხოვნით აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები აპირებდნენ ოფისის პიკეტირებას, თუმცა ლელოს მხარდამჭერებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს. პარტიის შენობისა და დემონსტრანტების გასამიჯნად, პოლიციამ ცოცხალი კედელი აღმართა. ასევე, ტრანსპორტის დაუბრკოლებელი მოძრაობის უზრუნველ-

[21] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ,“ მუხლი 11[1] პუნქტი 1.

ყოფისათვის, აღიმართა ცოცხალი კედელი გზის სავალ ნაწილსა და დემონსტრანტებს შორის.

9 ოქტომბერს, „ქართული მარშის“ ლიდერებმა და მხარდამჭერებმა დავით გარეჯის მიმართულებით საავტომობილო მსვლელობა მოაწყეს. მსვლელობის მიზანი იყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექტის „გაყიდვის“ გაპროტესტება, რაც, დემონსტრანტების განცხადებით, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში „მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ ჩაიდინა.“ მსვლელობისას „ქართული მარშის“ მხარდამჭერებმა ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ღობეზე გააკრეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოსტერები წარწერით „დაისაჯონ მოღალატე გამყიდველები.“ შეკრების მონაწილეებმა ასევე დაამტვრიეს ხის ფიტულები, რაც მათი თქმით, სამშობლოს მოღალატეების - სერგო ორჯონიკიძისა და მიხეილ სააკაშვილის ხვედრს წარმოადგენს. შეკრებას სამართალდამცველთა განსაკუთრებით მცირე ოდენობა არეგულირებდა.

15 ოქტომბერს ქართული მარშის წევრებმა გლდანში გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატის ნიკანორ მელიას საარჩევნო ოფისთან გამართეს დემონსტრაცია. ორგანიზატორთა განცხადებით, ამ დემონსტრაციით ისინი ნაციონალური მოძრაობის მიერ „ქართული მარშის“ პრორუსული ორიენტაციისა და „ქართული ოცნებისგან“ მართულობის თაობაზე გაკეთებულ ცილისმწამებლურ განცხადებებს აპროტესტებდნენ. აქციის ორგანიზატორის ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, იგი აპირებდა დებატების გამართვას ნიკა მელიასთან, რეალურად პრორუსული ორიენტაციის ძალის გამოსააშკარავებლად. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაციაზე აქციის მონაწილეებმა ოფისთან შეკრებილ ნაციონალური მოძრაობის წევრებს ცოცხები ესროლეს და ადვილად აალებადი ნივთები (მაშხალები) გამოიყენეს, პოლიციას სამართალდარღვევები არ აღუკვეთავს და აქციის არცერთი მონაწილე არ დაუკავებია.

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული მარშის“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ არჩევნები გაყალბდა და პარტია „ქართული ოცნების“ მთავარ ოფისთან და ცესკოს შენობასთან ორი აქცია გამართეს. მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა იყო ხელახალი არჩევნების ჩატარება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარის თამარ ჟვანიას დაკავება.

წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე გამოიკვეთა ახალი, ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბების ნიშნები. 27 სექტემბერს, ფეისბუქ ჯგუფის „ქართული ნაციონალიზმის“ ადმინისტრაციის ორგანიზებით, ვაკის პარკიდან გმირთა მოედნის მიმართულებით გაიმართა მანიფესტაცია სოხუმის დაცემის 27 წლისთავთან დაკავშირებით, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნისთვის პატივის მისაგებად. უკვე არსებული ულტრამემარჯვენე მოძრაობების შეკრებებისგან აქცია რამდენიმე ნიშნით გამოირჩეოდა: შეკრებაში მონაწილეთა დაახლოებით ნახევარი ქალები იყვნენ (რაც, არაა დამახასიათებელი ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ჯგუფებისათვის); მანიფესტაციის მონაწილეთა ნაწილს ეცვა სამხედრო ტანსაცმელი; ზოგიერთი მონაწილე სამხედრო-ტაქტიკური ნიღბით მალავდა საკუთარ გარეგნობას; აქციის ორგანიზატორები მონაწილეებს მოიხსენიებდნენ როგორც „რაზმს“; მონაწილეებს შორის შეინიშნებოდა სუბორდინაციული დამოკიდებულება. დამკვირვებლების შეფასებით, აქცია ატარებდა აშკარად მილიტარისტულ ხასიათს. მანიფესტაცია ასევე გამოირჩეოდა ახალგაზრდა მონაწილეებითა და ისეთი მოწოდებებით, როგორიცაა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების საბრძოლო მოქმედებებით დაბრუნება და ამ მიზნით რადიკალური ქმედებების განხორციელების აუცილებლობა.

4. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებული საპროტესტო აქციები

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა არაერთი აქცია გამართეს ხელახალი არჩევნების ჩატარების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას გადადგომის, არჩევნების გაყალბებაში მონაწილე პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისა და სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებული პირების განთავისუფლების მოთხოვნით.

დემონსტრაციებზე სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეების მიმართ არაერთხელ გამოიყენეს ძალა. ხშირი იყო აქციის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების შემთხვევებიც. კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვის მატებასთან ერთად, რასაც ხელისუფლებამ გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვებით უპასუხა, სამოქალაქო მოძრაობებმა დაიწყეს შეზღუდვების[22] დაუმორჩილებლობისადმი მოწოდებით აქციების ორგანიზება, რა დროსაც აქციის არაერთი მონაწილე დააჯარიმეს და/ან ადმინისტრაციული წესით დააკავეს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების შეფასებით, 31 ოქტომბრის შემდეგ ჩატარებული აქციები გამოირჩეოდა სამართალდამცველების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებით, შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებით და გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვით.

[22] კერძოდ, საღამოს 9 საათის შემდეგ „დიდ ქალაქებში“ გადაადგილების აკრძალვის გაპროტესტება.

4.1. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართული აქციები და არაპროპორციული ძალის გამოყენება სამართალდამცველთა მიერ

2020 წლის პირველი ნოემბრიდან, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ საქართველოს ცენტრალურ სარჩევნო კომისიასა და საოლქო საარჩევნო კომისიებთან გამართულ ექვს აქციას დააკვირდნენ.

2020 წლის 8 ნოემბერს, 15:00 საათზე თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა საპროტესტო აქცია გამართა, ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით. აქციის მრავალრიცხოვანმა მონაწილეებმა დაიკავეს პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია, პირველი სკოლის სკვერის ჩათვლით.

საღამოს 9:00 საათისთვის აქციამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან გადაინაცვლა. დემონსტრანტთა დაწინაურებული მცირე ნაწილი, დაახლოებით 250 ადამიანი, ცესკოს შენობის რკინის ღობეს მიადგა და ზედ ქვების ბრახუნი დაიწყო. რკინის ღობის მეორე მხარეს მობილიზებული იყვნენ პოლიცია და აქციის დასაშლელი სპეციალური აღჭურვილობის მქონე რაზმი.

ოპოზიციის ლიდერებისა და აქციის მონაწილეთა უმრავლესობის მოსვლამდე, პოლიციამ გაფრთხილების გარეშე, მოულოდნელად გამოიყენა წყლის ჭავლი, რა დროსაც აქციის მონაწილეებმა და მედია საშუალებების წარმომადგენლებმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს. პოლიციის ქმედების საპასუხოდ დემონსტრანტებმა მათ ქვები დაუშინეს. ერთ შემ-

თხვევაში, სავარაუდოდ, აქციის მონაწილემ ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა.

სიტუაცია მხოლოდ ადგილზე ოპოზიციის ლიდერებისა და მონაწილეთა ძირითადი ნაწილის მისვლის შემდეგ განიმუხტა. აქცია 22:00 საათიდან 00:00 საათამდე პერიოდში შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა. ამ დროისთვის ცესკოს წინ დაახლოებით 5,000-მდე ადამიანი იყო შეკრებილი. ვითარებას დაახლოებით 300-მდე საპატრულო, კრიმინალური პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენელი არეგულირებდა.

მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეთა მისამართით წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის გამოყენება არაპროპორციულ და უკანონო ღონისძიებად შეფასდა, პოლიციამ მონაწილეებს დაშლისაკენ მოუწოდა. გაფრთხილების მიუხედავად, მონაწილეებს შეკრების ადგილი არ დაუტოვებიათ. დაახლოებით 00:30 საათზე, დემონსტრანტების პოლიციის მიერ აღმართულ ჯებირებთან მჭიდრო სიახლოვისა და პოლიციის მიმართ გამოხატული აგრესიის გამო, პოლიციამ კვლავ გამოიყენა წყლის ჭავლი, რამაც აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. პარალელურად, სპეციალური დანიშნულების რაზმები ე.წ. რობოკოპები დაიძრნენ ხალხის მიმართულებით. შედეგად, მონაწილეთა უმრავლესობამ ავტობანის მიმართულებით გადაინაცვლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, აქციის მიმდინარეობისას ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო 14-მდე სამართალდამცველმა, მედიის 3-მა წარმომადგენელმა და აქციის 10-მდე მონაწილემ. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუ-

მორჩილებლობის ფაქტზე, ადმინისტრაციული წესით, ჯამში 19 პირი დააკავა.[23]

აქციის მონაწილეთა მიმართ პოლიციის მიერ თავდაპირველად გატარებული ქმედებები იყო უკანონო, არაპროპორციული და არა აუცილებელი ღონისძიება. მოცემულ ეპიზოდში პოლიციის ქმედებამ არათუ უზრუნველყო კანონიერი მიზნის მიღწევა, არამედ, გაამწვავა ვითარება. აქციის მონაწილეთა მცირედი ნაწილის ქმედება არ შეიცავდა მართლწესრიგის დარღვევის, კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრის ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის რეალურ და იმწუთიერ საფრთხეს. გარდა ამისა, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს პოლიციის მიერ, სათანადო გაფრთხილების გარეშე, აქციის ხასიათსა და ინტენსივობასთან ცალსახად შეუსაბამო სპეციალური ღონისძიებების გამოყენება, რომელთა არამიზნობრივმა და უმისამართო გამოყენებამ ჟურნალისტების და აქციის მონაწილეთა დაშავება გამოიწვია. აღნიშნულ შემთხვევაში, დაირღვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მოთხოვნები სპეციალური საშუალებებისათვის მიმართვის აუცილებლობის და მათი გამოყენების წესის თაობაზე.

4.2. სამოქალაქო მოძრაობების მიერ გამართული „დაუმორჩილებლობის აქციები“

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში 9 ნოემბერს შესული ცვლილებებით საცხოვრებელ ადგილზე მოსახლეობის დარჩენის უზრუნველსაყოფად, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ფოთში, ზუგდიდში აიკრძალა 22:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა

[23] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 9 ნოემბერი, 2020, (ბოლოს ნანახია 8.12.2020).

გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე, საჯარო სივრცეში ყოფნა.[24]

9 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე ორი საპროტესტო აქცია გაიმართა. ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული პირველი აქციის მიზანი იყო 31 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაპროტესტება, ხელახალი არჩევნების დანიშვნა და საზოგადოებისთვის ოპოზიციის სამომავლო სამოქმედო გეგმის გაცნობა. სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ მიერ ორგანიზებული მეორე აქცია პირველის დასრულებისთანავე დაიწყო და მის გაცხადებულ მიზანს ე.წ. კომენდანტის საათისათვის დაუმორჩილებლობა წარმოადგენდა, რომლესაც აქციის ორგანიზატორები უსამართლოდ და უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ.

ოპოზიციის ლიდერები რუსთაველის გამზირზე ე.წ. კომენდანტის საათის დროს დარჩნენ და სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ საპროტესტო აქციას შეუერთდნენ. დაახლოებით 22 საათზე, პოლიციამ შეშის შეტანის მცდელობის გამო „სირცხვილიას“ სამი აქტივისტი დააკავა. ერთ-ერთი დაკავებულის განცხადებით, დაკავების შემდეგ მას პატრულ-ინსპექტორებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

დაუმორჩილებლობის აქციის დასაწყისშივე შესამჩნევი იყო არასაკმარისი კომუნიკაცია სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეთა შორის. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა ადგილზე საპატრულო პოლიციის უფროსის ვაჟა სირაძის გამოჩენის შემდეგ. მისი ბრძანების საფუძველზე, შეშის შეტანის მცდელობის მიზეზით დააკავეს აქციის კიდევ ერთი მონაწილე გიორგი მჟავანაძე.

[24] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 ნოემბრის №670 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მე-2 მუხლის 6^1 პუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში შეშა პოლიციამ მიიჩნია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სახიფათო საგნად, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მიზნით. აქციის ორგანიზატორების განაცხადებით, აქტივისტები შეშის გამოყენებას მხოლოდ გასათბობად აპირებდნენ და პოლიციამ მისი მიტინგზე შეტანა უკანონოდ შეუზღუდა.

4.3. გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა 28 ნოემბერს გამართულ აქციაზე

28 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შესასვლელთან დაახლოებით 15:00 საათზე სამოქალაქო მოძრაობამ „სირცხვილია“ პოლიტიკოსებთან ელენე ხოშტარიასა და ხატია დეკანოიძესთან ერთად სპონტანური აქცია გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების გასაპროტესტებლად.[25] აქცია თავდაპირველად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც პოლიციელებმა აქციის მონაწილეებს დაუსაბუთებლად არ მისცეს პარლამენტის შესასვლელთან აღმართულ რკინის კონსტრუქციაზე (რომელიც არ წარმოადგენს შენობის შემადგენელ ნაწილს) წარწერების გაკეთების უფლება. აღნიშნული სავარაუდოდ, გახდა ერთ-ერთი აქტივისტის დაკავების მიზეზი, თუმცა დაკავების საფუძვლად პოლიციამ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა[26] მიუთითა. აქტივისტის დაკავების-

[25] რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ კარასინმა მოუწოდა ქართულ მხარეს, ლუგარის ლაბორატორიაში რუსი სპეციალისტები დაუშვას, 2020, https://rustavi2.ge/ka/news/183456 (ბოლოს ნანახია 8.12.2020) ინფორმაცია მოგვიანებით უარყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

[26] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173.

ას, აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. არაკანონიერი მოთხოვნა და შესაბამისად, ამ მოთხოვნისადმი წინააღმდეგობა, არ წარმოშობს ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს. აღნიშნული შეცდომის გამოსწორების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ მოგვიანებით პოლიციელებმა სამოქალაქო აქტივისტებსა და პოლიტიკოსებს პარლამენტის შესასვლელთან აღმართულ კონსტრუქციაზე წარწერების გაკეთების შესაძლებლობა მისცეს. დაკავებული ორი აქტივისტის მიმართ კი დაიწყო წარმოება სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

მანიფესტაციის მონაწილეთა მიზანია არა მხოლოდ საკუთარი აზრის გამოხატვა, არამედ ამის გაკეთება სხვებთან ერთად. სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური ვალდებულება, არ შეზღუდოს პირის გამოხატვის თავისუფლება, ასევე, მნიშვნელოვანია სრულყოფილი მექანიზმის არსებობა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ მშვიდობიან დემონსტრანტთა მიმართ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე გახშირებული საჩივრების სრულყოფილად გამოძიებისათვის.

28 ნოემბრის აქციის დროს დაკავებულთა საქმეებში განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა დაკავებული აქტივისტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება და სანაცვლოდ აქციის მონაწილეების პასუხისგებაში მიცემა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომლის ჩადენაც ადგილზე მყოფმა არც ერთმა ნეიტრალურმა მოწმემ არ დაადასტურა.

5. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები 2020 წლის 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების 3 სასამართლო პროცესს დააკვირდნენ.

7 დეკემბერს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებელი, პროცესზე დასწრების სურვილის მქონე სხვა პირებთან ერთად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 28 ნოემბერს პარლამენტის შესასვლელთან გამართული აქციის დროს დაკავებულ დემონსტრანტთა სასამართლო პროცესზე არ დაუშვა. ამ გადაწყვეტილებით პროცესი ფაქტობრივად დაიხურა, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე.

შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესების მონიტორინგისას, ასევე გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც, კერძოდ:

- ორ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი რამდენიმე საათის დაგვიანებით დაიწყო. დემონსტრანტებს არ აცნობეს პროცესის დაწყების ზუსტი დრო, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი მოწმეები, კოვიდ 19-თან დაკავშირებული შეზღუდვების საბაბით, სასამართლო შენობაში არ დაუშვეს. შესაბამისად, მოპასუხე მხარე და მისი წარმომადგენლები, მოწმეებთან ერთად რამდენიმე საათის განმავლობაში, სიცივეში, ღია ცის ქვეშ ელოდებოდნენ სასამართლო პროცესის დაწყებას
- ერთ შემთხვევაში, მიუხედავად სექტემბრიდან მიმდინარე წარმოებისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხარეს საქმეში არსებული მტკიცებულებები სასამართლო განხილვის დღეს (ნოემბერში) გადასცა, რის გამოც პროცესის გადადება გახდა საჭირო.

5.1. სამართალდამცველთა მიერ მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტები

ორ შემთხვევაში, საქმის განხილვისას დაკავებულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ არ განუმარტეს დაკავების საფუძვლები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები. მოწმედ დაკითხვის პროცესში, მოწმედ დაკითხულმა სამართალდამცველთა ნაწილმა ვერ გაიხსენა განუმარტეს თუ არა დაკავებულ პირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:

- მათ მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი და დაკავების საფუძველი
- უფლება ადვოკატზე
- უფლება, მათი სურვილის შემთხვევაში, დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ახლობლებისათვის შეეტყობინებინათ

სამოქალაქო აქტივისტთა დამკავებელ პატრულ-ინსპექტორებს, დაკავებამდე და დაკავების პროცესში, გაურკვეველი საფუძვლით ჩართული არ ჰქონდათ სპეციალური ვიდეოგადამღები ტექნიკა, რაც კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს.

5.2. დაბალი მტკიცების ტვირთი და უფლებათა დაცვის არასაკმარისი სტანდარტები

ერთ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილ ვიდეომასალებში ასახული იყო 2020 წლის 9 ნოემბერს განვითარებული მოვლენების მხოლოდ ის მონაკვეთები, რომლებზეც სამოქალაქო აქტივისტთა დაკავება იყო აღბეჭდილი. ხარვეზი განსაკუთრებით ნ.რ.-სა და გ.მ.-ს ეპიზოდებში გამოიკვეთა. წარდგენილი ვიდეომასალებიდან ცალსახად არ გამოვლინდა დაკავების ოქმებით დადგენილი სამართალდარღვევის, კერძოდ, აქციის მონაწილეების მიერ წვრილმანი ხუ-

ლიგნობის[27] პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის[28] და მათთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. პატრულ-ინსპექტორებს სამხრე კამერებით გადაღებული არ ჰქონდათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, აქტივისტთა ის ქმედება, რაც უშუალოდ გახდა მათი დაკავების სამართლებრივი საფუძველი.

5.3. საქმეზე წარმოდგენილი არასათანადო მტკიცებულებები

პროცესზე დაკითხული სამართალდამცველების ჩვენებები არათანმიმდევრული და ზედაპირული ხასიათის იყო, რაც, თავის მხრივ, არ შეესაბამებოდა ვიდეომასალით უტყუარად დადასტურებულ, რეალურად არსებულ მოვლენათა ჯაჭვს.

აღსანიშნავია ა.მ.-ს საქმე, როდესაც სამოქალაქო აქტივისტის მხრიდან, აქციაზე შეშის ნაჭრების შეტანის აკრძალვის კანონიერების დასაბუთების კატეგორიული მოთხოვნა, სასამართლომ პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობად შეაფასა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სრულად გაიზიარა პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებები დაკავებული პირის მიერ აქტიური ფორმით განხორციელებული წინააღმდეგობის თაობაზე, რაც, არ დასტურდებოდა წარდგენილი ვიდეომასალიდან.

სასამართლო პროცესებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამართალდარღვევების დასადასტურებლად წარდგენილ მტკიცებულებათა უმეტესობა თავისი არსით, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან პირდაპირ კავშირში არ იყო, რამაც, გონივრული ეჭვის ქვეშ დააყენა, როგორც მტკიცებულებათა უტყუარობის, მათი სამართლებრივი თვალსაზრისით საკმარის-

[27] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[28] იქვე, 173-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ობის სტანდარტი, აგრეთვე, თავად სამართალდარღვევის რეალურად ჩადენის ფაქტი.

5.4. სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეფასება

ერთ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე დაკავებული აქტივისტი ცნო წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენებად და შემდეგი სახის სახდელები დაადო. ა.მ.-სა და ნ.რ.-ს დაეკისრათ 1,000 და 1,500 ლარიანი ჯარიმა, ხოლო გ.მ.-ს 3 დღიანი პატიმრობა შეეფარდა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სამივე დაკავებული აქტივისტის მიმართ იყო დაუსაბუთებელი, ვინაიდან მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთა არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს დააყრდნო.

ა.მ.-ს ეპიზოდთან დაკავშირებით, სასამართლომ შეშის რამდენიმე ნაჭერი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სახიფათო საგნად მიიჩნია, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ბოლო პერიოდში აქციების დაშლისას, ცალკეულ მონაწილეთა მიერ შეშის ნაჭრების არადანიშნულებისამებრ მოხმარების, კერძოდ, პოლიციელთა წინააღმდეგ მათი გამოყენების, ფაქტები.

2020 წლის 9 ნოემბერს გამართული აქცია თავისი ხასიათით არ შეიცავდა სამართალდარღვევის ჩადენის რეალურ და იმწუთიერ

საფრთხეს. აქვე მხედველობაში იყო მისაღები აქციის მონაწილეთა სიმცირე, სამართალდამცველების გაზრდილი რაოდენობის ფონზე. ამდენად, პოლიციის მიერ შეკრების მონაწილეთათვის გარკვეული საგნების ქონის აკრძალვისა და მათი საფრთხის შემცველად მიჩნევის გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესად უნდა შეფასებულიყო იმ მომენტში არსებული კონკრეტული გარემოებანი (აქციაზე არსებული სიტუაცია, მონაწილეთა ზოგადი ქცევა) და არა სხვადასხვა აქციებზე გამოვლენილი ცალკეული ფაქტები.

პანდემიამ ხელისუფლება და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. როგორც დაკვირვება აჩვენებს, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო ბალანსის დაცვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საჭიროებებსა და პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას შორის. პანდემიის პირობებში, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეკრებების დარეგულირებაზე პოლიტიკური კონსესუსის მიღწევის მცდელობის ნაცვლად, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ 2020 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებებით[29] პარლამენტის უფლებამოსილების ნაწილი სამთავრობო სტრუქტურებს გადასცა, რითაც საზოგადოებას შეზღუდვების მიზანშეწონილობის განხილვაში ჩართვის შესაძლებლობა წაართვა.

თავის მხრივ, პოლიტიკური სპექტრისთვის თავყრილობების ორგანიზების გამო კორონა ვირუსის გავრცელებაზე პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებამ ხელისუფლება არ გაათავისუფლა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულებისგან. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების უზრუნველყოფის შემდეგ კი, როდესაც გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვებით მნიშვნელოვნად გართულდა შეკრების უფლების რეალიზება, სამართალდამცველთა ქმედებებმა არაერთხელ დაარღვია შეკრების თავისუფლება.

მეორე მხრივ, შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი აქციების მიმდინარეობისას შეკრების მონაწილეთა მხრი-

[29] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები ადამიანის უფლებების არაპროპორციული შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს, 2020, http://www.democracyresearch.org/geo/309, (ბოლოს ნანახია 9.12.2020).

დან კოვიდ 19-თან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორები ძირითადად იღებდნენ ვირუსის პრევენციისათვის აუცილებელ ზომებს, მრავალრიცხოვანი აქციების შემთხვევაში, ფიზიკური დისტანცია დაცული არ იყო და ხშირად, აქციის მონაწილეებს პირბადეები არასწორად ეკეთათ.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, უმეტესწილად სამართალდამცველები შეკრების მონაწილეთა ქმედებებზე შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით რეაგირებდნენ. მაგალითად, როდესაც სამართალდამცველებმა სამოქალაქო მოძრაობების აქტივისტებს აქციაზე შეშის შეტანისა და ღობეებზე პლაკატების გაკვრის უფლება არ მისცეს, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული გაერთიანების წევრების გაცილებით ინტენსიურ სამართალდარღვევებზე სათანადო რეაგირება არ ჰქონიათ.

ჩვენს მიერ განხორციელებულმა სასამართლო სხდომების მონიტორინგმა ცხადყო, რომ სასამართლოში შეკრებისა და მანიფესტაციების მიმდინარეობისას დაკავებული პირების უფლებათა დაცვის სტანდარტმა მნიშვნელოვნად დაიწია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, სასამართლომ დაკავებული პირები სამართალდამრღვევებად მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთა არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებათა საფუძველზე ცნო. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის მარტის ჩათვლით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებისგან, როდესაც სასამართლო მხოლოდ ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევისას მიღებულ შედეგებს დაეყრდნო, რაც ხშირ შემთხვევაში არსებითად ეწინააღმდეგებოდა მოწმედ დაკითხულ პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებს.